№ 119

სამშაბათი, 5 ივნისი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

№ 119

სამშაბათი, 5 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, № ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ „Фармацевтика“ Телефонъ № 741.

საოფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საშვილებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—38)

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჭსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის სვედრი ფული ივლისსავე პირველ რიცხვამდე.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ „საზოგადოების“ წევრთა საგანგებო კრება, მოწოდებული პირველ ივნისისათვის, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ხელმეორე კრება დაინიშნა 8 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თეატრის შენობაშივე. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა ღაესწროს.

სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი. 11—12 ს.

სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. გ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ს. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ს. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არგანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მისცემს გედევანიშვილისა,

კუკია, ნაოლოზის ქუჩა; სახლი საგანშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მახეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ს. მულიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ს. მ. შატილოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ს. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. ლ. მარგევიჩი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ს. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ფელეტონი

წერილები ინგლისიდგან

II

მიწად-მფლობელობის საქმე.—ულსტერი და იქაური სისტემა ფერმეროებისა.—ულსტერის მტრობა დანარჩენ კათოლიკეთა ირლანდიის მიმართ.—საადგილ-მამულო ლიგა, პარნელი და გლადსტონის 1881 წლის კანონი.—აწინდელი მოძრაობა.—წინადადება სახელმწიფოს მიერ მამულების გამოსყიდვის შესახებ.

ვისაც-კი ირლანდიის შესახებ გაგონია რამ, იმან უთუოდ კარგად უწყის, რომ ამ ქვეყნის ყოველგვარ უბედურების სათავე და მიზეზი მიწად-მფლობელობის დღეს მიღებული სისტემაა. დაპყრობილი, ძალად მიწა-წყალ ჩამორთმეული, რომელიც ინგლისელმა ლორდებმა, სამხედროებმა და მოხელეებმა მიითვისეს, ირლანდია მე-XVIII საუკუნის დასაწყისშივე დაადგა განადგურებისა და დაქვეითების გზას. უცხო-ქვეყნელი მემამულენი, რომელთაც ირლანდიელების არაფერი გაეგებოდათ, არც ენა, არც ზნე-ჩვეულება და არც სარწმუნოება (ირლანდიელნი კელტები და კათოლიკები არიან), რჩებოდნენ ინგლისში დარჩენას საცხოვრებლად და ძალად მითვისებულ ადგილების ირლანდიელ გლეხებზედ იჯარით გაცემას თავიანთ აგენტების, ე. ი. მოურავების შემწეობით.

მემამულეთა სხვაგან ყოფნამ, სხვა ადგილში ცხოვრებამ, იმ მემამულეთა, რომელნიც მწარმოებელ ძალას სწოვდნენ ირლანდიას და იმის საჭიროებათათვის-კი არასოდეს არა ზრუნავდნენ, დაჰბადა ის სიმწვავე, მტრული დამოკიდებულება, რომელიც ყოველ 35—40 წელში აჯანყებით იჩენს ხოლმე თავს, კერძო ადგილობრივ აჯანყებით, ან საერთო საერო აგიტაციითა და არეულობით. ეს ასეც უნდა იყოს.

მუდამ სხვა ადგილში მყოფი მემამულე *) ერთ გროშსაც არა ჰხარჯავდა მიწის განკარგებისა და გაუმჯობესებისათვის. თავისის მხრივ ფერმერი-მეიჯარადრე პირდაპირ საზარალოდა სთვლიდა თავისის ხარჯით მიწის განკარგებას. დღეს მიღებულ იჯარის წესით, მამულის პატრონს უფლება აქვს ჩამოართვას მეიჯარადრეს მიწის ნაჭერი, როცა მოისურვებს, არ განაახლოს იჯარა და სხვა. როდესაც-კი იჯარადარმა გააუმჯობესა მიწა, შეაკეთა სახლი და სხვა შენობანი, მიიღო მეტი შემოსავალი, მიწის პატრონმა მეტი გადასახადი დაადო და ამ რიგად შეავიწროვა. თუ მომატებულს გარდასახადს არ გაისტუმრებს, დიდ ხანს არ ალაპარაკებს, იმ წამს ძალით განდევნის (eviction). პოლიცია, მოხელენი, სასამართლო, ჯარი—ინგლისისა, რასაკვირველია, —ყველა ესენი მზად არიან ლენდლორდების სამსახურისათვის. ასეთმა პირობებმა, ძალ-მომრეობამ, საიჯარო ფულის მომატებამ და სხვა შეიწროვებამ გული აუცრუა ირლანდიელებს, თითქმის დაავიწყა მამულისათვის ზრუნვა; მიწაც ამის გამო დაეცა, სახნავად გამოუსადეგარი შეიქმნა, სახლები... ქოხები იქცეოდა, მცხოვრებნი განსაკუთრებით 20—40 წლის მუშები, იხიზნებოდნენ, გარბოდნენ სამშობლოდგან. ოხრად მიტოვებულ მიწა-ადგილსა და ნახევრად დაქცეულს ქოხებში მგზავრი დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში შემოსილს და მშიერ ბავშვებსა და მოხუცებს-ღა შეჰხვდებოდა.

განა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობების წყალობით მცხოვრებთა რიცხვმა იკლოს, ან საერო ინდუსტრია სრულიად დაეცეს, მოისპოს?.. გაბოგანოვებული ხალხი ვერ გადაიქცევა ერთიანად ხელოსნადა და ქარხნის მუშად. უიმისოდაც მშიერმა ირლანდიამ თავისის მშიერის ბავშვებით გლაზგოსი, ლივერპულისა, ლონდონისა და სხვა ქალაქების ქუჩები გაავსო. ამ ბავშვებით სავსეა შეერთებულ შტატების ის ადგილები, სადაც მრეწველობას მისდევენ. არც ის უნდა გაიკვირვოს ვინმემ, თუ გაბოგანოვებული ხალხი თავისს დასაცველად უკიდურესს საშუალებასა ხმარობს: ჰკლავს და ჰხოცავს ლენდლორდების აგენტებსა და მოსამსახურეებს, ირლანდია კლასიკური ქვეყანაა საავგარო მკვლელობათა... მაგრამ ყველა ეს მხოლოდ იმ ირლანდიის შესახებ ითქმის, სადაც კათოლიკენი სცხოვრობენ. ჩრდილოეთის ნაწილი, იქ, სადაც პროტესტანტნი სცხოვრობენ,—ულსტერი, ეგრედ წოდებულ ორანჟისტებით დასახლებული (ვილჰელმ ორანსკის მომხრენი), ყოველთვის უკეთესს ეკონომიურ პირობებში იყო. ამ ნაწილს მუდამ მტრული დამოკიდებულება ჰქონდა მწვანე ერინის (ასე ეძახიან ირლანდიის კუნძულს) თვითდამცველ, მოუსვენარ და ქონებრივად სრულიად გამოფიტულ კათოლიკეთა ნაწილთან.

ულსტერის დღევანდელი მცხოვრებნი მე-17 საუკუნესა და მე-18 საუკუნის დასაწყისში გარდმოსახლებულ შოტლანდიელ და ინგლისელ ფერმებთა შთამომავალნი არიან. რადგანაც სახელმწიფომ ეს გადმოსახ-

*) მემამულეთა ამ სხვაგან ყოფნის შესახებ (აბსენტეიზმი) ძალიან ბევრი დაიწერა. თითქმის ინგლისის ყველა ეკონომისტს უწერია იმის ზარალის შესახებ. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მიწად-მოქმედის ინტერესების შესახებ თითქმის არავის ულაპარაკნია.

ახალი ამბავი

** კვირას, 3 ივნისს, კავკასიის მთავარ-მართებელი მეუღლითურთ საქართველოს სამხედრო გზით პეტერბურღში წავიდა.

** ფოთის ქალაქის მოურავი ნ. ნიკოლაძე უკვე ჩამოვიდა პეტერბურღიდან ტფილისში.

** ფინანსთა მინისტრი გზავნის თურმე საგანგებო მინდობილებათა მოხელეს გულიშამბაროვს ბაქოსა, ბათუმსა და ნოვოროსისკში ნავთის წარმოების სხვა-და-სხვა საქმეთა გამოსაკვლევად.

** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად შესდგა ამხავაგობა, რომელმაც აიღო ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან კონცესიით ქალაქში წყლის მილის გამართვის საქმე. ხელ-შეკრულებით, ვიდრე კონცესიონერები შეუდგებოდნენ საქმეს, ქალაქისათვის უნდა გადაეცათ 20,000 მან. ამხანაგობამ პირველად შეიტანა ამ ფულიდგან 5,000 მან. და რადგანაც დანარჩენ ფულის წარდგენა შეუგვიანდა, ქალაქს ეგონა, რომ კონცესიონერები თავს ანებებენ საქმესაო; მაგრამ ამხანაგობის მეთაურმა ბ-ნმა მიხაილოვმა ამ რამდენისამე დღის წინად უკვე წარუდგინა ქალაქის გამგეობას დანარჩენი 15,000 მან. და ეხლა მოლაპარაკება აქვს 5 საუკეთესო ფირმასთან წყლის მილების გამო და მომავალ ივლისის თვეში კიდეც შეუდგებიან ქუთაისში წყლის მილების კეთებას. განზრახვა აქვთ, აგვისტოს ბოლომდე გაათაონ საქ-

მე. ქალაქის წყლის უმთავრესი აუზი გაიმართება არქიელის გორაზედ.

*** საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე გორის მაზრიდგან ტფილისში შაბათს, 2 ივნისს, ჩამოვიდა.

*** ერევნის საგუბერნიო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე ქალაქ გუმბრში შვიდ-კლასიან საკომერციო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

*** ქალაქ ყარსში აარსებენ თურმე საქართველოს ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს განყოფილებას და სასწავლო ნივთების საწყობს.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს მკურნალს მ. ი. შავერდოვს ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ ქალაქის მკურნალებს მიეცეს საჭირო ფული როგორც გადამდებ სენით ავადმყოფთ, ისე სხვა ღარიბ ავადმყოფთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ამ საგნის გამოსარკვევად სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს აურჩევია კომისია მკურნალ გ. ი. თარხანოვისა, შავერდოვისა და გ. ნ. სტეფანოვისაგან, რომელთაც უნდა წარუდგინონ მოხსენება საბჭოს ენკენისთვეში.

*** მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარეს გრ. პ. ა. უვაროვისას უცნობებია ბ. ა. ნავასარდიანისათვის, რომ მოსკოვის საზოგადოება თანახმაა ტფილისში განყოფილების დაარსებისა, ამიტომ საზოგადოებამ უცვლელად მიიღო განყოფილების წესდება და წარუდგინა მინისტრს დასამტკიცებლადაო.

*** განზრახვა აქვთ ს. ბაკურიანში, რომელიც ბორჯომიდგან 30 ვერსის მანძილზედ მდებარეობს, აგარაკი გამართონ. ბორჯომის მამულის კანტორა აძლევს იჯარით 200-სა და მეტს ოთხ-კუთხ საჟენ მიწას, თითოს 10 და 15 კაპ. 36 წლის ვადით.

*** წელს ტფილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაასრულა სულ 21 კაცმა, რომელთაგან 4 მეორედ დაენიშნა ეგზამენი ზოგიერთ საგნებში. პირველი ხარისხის მოწმობა მიიღეს: საპოვალოვმა, ხელსუპიშვილმა ა., ხოდჯიევმა ლ., იაროსლავცევმა დ., მეორე ხარისხის მოწმობით გაათავეს: ივანოვმა ა., კამარმა ი., ეგორიევმა ვ., მაღლანიამ ტ., პაპანდოპულომ ა., ბერიტაშვილმა ი., მირიანაშვილმა ზ., ბურჭულაძემ ვ., პეტრეპაველოვსკიმ გ., ლევშიცმა კ., ლონდარიძემ დ., ნასყიდაშვილმა ნ., ჩაგულოვმა არ., ამათგან სასულიერო-სემინარიაში მიიღებენ იმათ, ვინც დაიჭერს მისაღებ ეგზამენებს ენკენისთვეში.

*** ბეჭდვითის სიტყვის პავილიონის გამმართველ კომისიის შუამდგომლობის თანახმად, კავკასიის გამოფენის კომიტეტს დაუთმია კომისიისათვის 40-დან 50 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა.

*** წელს ბაქოს ვაჟთა გიმნაზიაში სწავლა დაუმთავრებია, სხვათა შორის, ერთს ქართველს ჰავდე მდივანს.

*** პოლიციის მესამე ნაწილში საპიორნის ქუჩაზედ მარდანოვის სახლში ერთი შემზარავი მკვლელობა მოხდა. მარდანოვის სახლში მცხოვრებ აზ. სიმონ ზაქარიას ძეს დინიბეგოვს ეს 15 წელიწადია ჰყოლია დამბლად დაცემული ავადმყოფი და გაიარე, რომელიც იმდენად დაუძლურებული ყოფილა, რომ მუდამ ქვეშსაგებელში წოლილა. პარასკევს, საღამოს 8 საათზედ, ს. დანიბეგოვი სასეირნოდ გამოსულა და მისი მოსამსახურე ბიჭი ერევნის გუბერნიის მცხოვრები მიკირტიჩ გეურჭას ძე მიკირტიჩიანცი შესულა გაიარეს საწოლში, ჩამოუღია იქვე კედლიდგან ხანჯალი, მივარდნია გაიარეს და ყელი გამოუჭრია; შემდეგ გაუტეხია ყუთები, ამოუღია სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები 2,000 მ. ღირებულობისა, ფულად 300 მ. და ერთი პირველ შინგან სეხნის მომგებიანი ბილეთი და სადღაც დამალულა. მკვლელისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ. პოლიციამ ყოველივე ღონე მიიღო ქურდის დასაჭერად და დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად.

*** სადგ. ყარაკლისი. 3 ივნისს ყარსის გზის მე-185 ვერსზე, შუადღის თორმეტ საათზე, ჩამოწვა მიწის ზვავი, ლიანდაგი გახიდა და მატარებელთა მიმოსვლა სადგურებს ქალთახჩასა და ჯაჯურს შორის შეაჩერა. საღამოსთვის ლიანდაგის გაწმენდა მოასწრეს.

*** სადგ. პუტა. 3 ივნისს სადგურ პუტის შესასვლელ ისარზე ნახეს მატარებლისაგან გაჭყლეტილი ვიღაცა კაცი, რომლის ვინაობაც ვერავინ გაიგო.

*** სადგ. შორაპანი. 3 ივნისს, ათი საათის ნახევარზე, ჰიათურის შტოს მეორე ვერსზე იტალიის ქვეშევრდომი თომა კალიფატე მთვრალი მატარებელ № 328 ქვეშ მოჰყვა. მატარებელმა მას მარცხენა ფეხი დაუშავა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** სადგ. ჰიათურა. 3 ივნისს, ნაშუალამევის 2 საათზე, მატარებლის № 329 ვაგონების ქვეშ ტავრიჩესკი გუბერნიის მელიტოპოლის მაზრის გლეხმა იაკობ ლისენკომ მარჯვენა ფეხი მოაყოლა, თვლებმა ფეხზე გადიარა და დაუჩეჩქვა. დაშავებული ჰიათურის საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** სადგ. კოპიტნარი. 3 მაისს, ღამის პირველ საათის ნახევარზე, კოპიტნარის სადგურის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვასილ უგაროვი, რომელიც სამტრედიიდგან მატარებელ №242-ით მოდიოდა კოპიტნარში, ვაგონის აივნიდგან ქვეშ ჩავარდა და მარჯვენა ფეხის ძვალი გაიტეხა. დაშავებული სამტრედიაში გაგზავნეს ექიმთან.

ქართველი გრიგორიანები

ქრისტეს სარწმუნოება ქართველებმა და სომხებმა მეოთხე საუკუნეში მიიღეს. ის ეკლესია-კი, რომელმაც გაავრცელა ჩვენსა და მათ შორის ქრისტიანობა, ბერძნისა იყო და დიდებულის ბიზანტიის კეისართა საბრძანებელი და საპატრონო. მოსალოდნელი იყო, რომ დოგმატთან და სარწმუნოებასთან ერთად ის ეკლესია გადმოსცემდა ამ ორ ხალხს ყველაფერს, რაც-კი იყო მისი საამქვეყნო გამომხატველი, ე. ი. ტაძრის გეგმას თუ სხვა რამ წესრიგსა. მაგრამ, საბოლოოდ, ასე მაინც არ მოხდა და ქართველებმა და სომხებმა შეიმუშავეს ბერძნულის სტილისაგან ძირეულად განსხვავებული ერთნაირი საეკლესიო გეგმა, აღარეს საკურთხეველი წმიდათა წმიდად, სადაც მღვდელს, თუ არ ფეხთგახდილს, არ შეესვლებოდა*); დაკანონეს ყრმათა ნათლობის, როგორც ერთ საიდუმლოთაგანის, ეკლესიაშივე გადახდა**); დაადგინეს მწუხრისა და ცისკრის თავ-თავისს დროზედ ლოცვა და შემოიღეს სხვაც კიდევ ბევრი რამ საერთო, რის გამოკვლევა, ანუსხვა და ცოდნა ივერიის ეკლესიის ყოვლის ჟამშმარიტის მსასოებლის ქართველისთვის სულიერ მოთხოვნილებას უნდა შეადგენდეს. ეს გარეგანი ერთობა ამ ორის ხალხის ეკლესიებმა მაშინაც კი არ მოიშალეს, როცა მათ შორის ჩამოვარდნილი სარწმუნოებრივი განხეთქილება მეექვსე საუკუნეში უარესად გამწვავდა და ბოლოს სომხის ეკლესია დოგმატითაც დაშორდა ბერძნის ეკლესიას. მაგრამ თუ კირიონ კათოლიკოზმა, ბერძნულის მართლ-მადიდებლობის ამ თავგამოდებით დამცველმა, სცნო შესაძლოდ და ღვთისა და კაცის მოსაწონად, რომ სომხის ეკლესიასთან იმ დროინდელი გარეგანი მსგავსება და ერთობა დაეცვა და მისი მემკვიდრენიც თორმეტის საუკუნის განმავლობაში მტკიცედ ადგნენ ამ გზას, პირველად ანტონ კათალიკოსმა ხელი მიჰყო და წარხოცა ყოველი ნასახი, რაც კი აერთებდა ივერიის ეკლესიას სომხის ეკლესიასთან.

ეს ეკლესიების გარეგანი ერთობა უნიადაგო და უსაფუძვლო როდი ყოფილა. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქართველები და სომხები ძველის-ძველადგანვე ერთად სცხოვრებენენ, აწინდელ არმენიაში მე-VII საუკუნეში ქრისტეს წინ და როგორც წარმართობისა, ისე ქრისტიანობის დროს ერთობა ჰქონდათ სარწმუნოებრივი და ხან-და-ხან ძოქალაქობრივიც, მაშინაც-კი, როცა ქართველებმა აწინდელ საქართველოში დაიწიეს თავიანთ ადგილ-საყოფელ არმენიიდგან, რომელსაც ფრიგიით დაძრული სომეხთა ტომი თან-და-თან ეხიზნებოდა, როცა ქართველი აწინდელ საქართველოში და სომეხი აწინდელ არმენიაში დამკვიდრდა თვითეული მათგანი ცალკე თავისებურის კულტურის შესაქმნელად და, უკანასკნელ, როცა მტერთაგან აკლებულ და აოხრებულ სომეხთა ერთი ნაწილი შემოეკედლა ჩვენს ქვეყანას, როგორც თავისუფალსა და ქრისტიანე სახელმწიფოს.

მაგრამ დრო გამოიცვალა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს იხილა საქართველოს სომეხთ ეკლესიამ ნაყოფი აბრამ კათალიკოსის მოქმედებისა, იმ აბრამისა, რომელმაც შეაჩვენა ყოველივე სომეხი ქართველ-ბერძნის სარწმუნოებას კიდევ აღიარებდა. აბრამ კათალიკოსის მემკვიდრეებმა მიჰყევეს ქართველ გრიგორიანთა შორის, განურჩევლად, სომხობის, როგორც სხვა ერის, აზრის ჩათესვას, თუმცა სომხობა ისე როგორც ფრანგობა საქართველოში სარწმუნოებრივ სიტყვას მოასწავებს და სხვა არაფერს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ სომხებში, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში სცხოვრებენ, ერთი მესამედი ძლივს თუ იქნება ისეთი, სომხის ნიშანწყალი კიდე ეტყობოდეს, დანარჩენი ორი მესამედი ზნით, ჩვეულებით, ენით და ტანისამოსით პირ წმინდად დაემსგავსა ნამდვილ ქართველებს, რომლებსაც ნათესაობითაც და ნათელ-მირონობითაც კი უკავშირდება აგრეთვე. აი, იმ ორ მესამედში მოჰყვა ის წმინდა სისხლის ქართველობაც, რომლის რიცხვი ზედ მიწევნით არ ვიცით, მაგრამ მათ არსებობას ცხად ჰყოფს მათივე ვინაობა. გველესიანი, წერეთელი, ჩხეიძე, ლომიძე, დუჩაიძე, მუჩაიძე, მენთეშაშვილი, დოლუაშვილი და მათი მსგავსი მრავალი ქართული გვარი, რომლის სომხობას თუ უთხრობს მხოლოდ დაბოლოვება. ძნელი ასახსნელი არ არის, თუ საიდგან გაჩნდა ქართველთ გრიგორიანობა. რჯულისა ჟ ეკლესიათა ერთობის დროს სომხებიცა და ქართველებიც ერთმანეთის ეკლესიაში განურჩევლად დადიოდნენ სალოცავად. განხეთქილების შემდეგ კი ახალის რჯულის, ჩვეულების თუ სხვა რამ გარემოების მიზეზით ნაწილი ქართველობისა სომხის ეკლესიასაც შერჩა და ზოგი კიდე უკანასკნელ არგულობათა ჟამსა შეეკედლა სომხის ეკლესიას, რომლის სამღვდელოება, კათოლიკე პატრების ქადაგების მიბაძვით, არც სხვათა მოქცევას აკლებდა ხელსა. მეცხრამეტე საუკუნის თითქმის მეორე ნახევრამდე მათ ეკლესიებში ქართული ლოცვანები ხმარებაში იყო და ვნების კვირაში ჯვარცმის სახარება იკითხებოდა და „ქრისტეს გამოტირილის„ საგალობელი ითქმოდა ორივე ქართულად. ამ თავ-გამოდებულმა, პასუხის ნაცვლად დევნა დაუწყო სიმართლის მოხოვნელთ და რევოლიუციონერთ; იგი მოლაპარაკებასაც-კი არ ნდომობდა ლიგასა და ირლანდიის „უგვირგვინო მეფეს“ პარნელთან. მაშინ მოთმინებიდგან გამოსული „invincibles“-ის დასი მჩაგვრელთა და მტანჯველთა ხოცვა-ჟლეტას შეუგა, რამაც მთელი ინგლისი შეაშფოთა. თუ რამდენად გამწვავდა მდგომარეობა, ამას „Punch“-ის კარიკატურა გვიმტკიცებს: ახალგაზდა ლორდი თავის დანიშნულს ორ რევოლვერს აძლევს საქორწინო საჩუქრად. როგორც ყოველთვის, „Punch“-მა ამ შემთხვევაშიაც საუცხოოდ გადმოგვცა სურათით საქმის ვითარება: ირლანდიაში ყველანი საომრად და საბრძოლველად იყვნენ გამზადებულნი. ცუდი შედეგი მოჰყვა ინგლისელთათვის ასეთ გამწვავებულ მდგომარეობას: რევოლიუციონერებმა მოჰკლეს ირლანდიის ვიცე-კოროლი კავენდიში და მთავარი მდივანი ბერკი, და მრავალი აფეთქება მოახდინეს ლონდონში.

*) გელათის მონასტერში დღესაც არის საპატრიარქო ქოშები, წირვის დროს სახმარებელი. ავტორი

**) ძველ ჩვენს ეკლესიებში დღესაც იხილვება სანათლავი ემბაზები. ავტ.

ლება თავისს სასარგებლოდ მოახდინა, გადმოსახლებულთ მიწა-მფლობელობის საქმეში დიდი შეღავათი მიეცათ. ულსტერში მიღებულ სისტემით, ლენდლორდს არამც თუ არ შეეძლო თავის სურვილისა და ნებისამებრ იმათი განდევნა მიწა-ადგილიდგან, ვინც გადიდებულ გადასახადის გადაუხდელობისაგან არ მოასურვებდა, არამედ თვით გადასახადის გადიდებაც-კი იმათ თვით-ნებობისაგან არ იყო დამოკიდებული. საიჯარო ფასის მომატება შეიძლება მხოლოდ მთელის პროვინციის საერთო ეკონომიურ განვითარებისა-და-კვალად და ამასთან მაშინ, თუ ფასი ყველგან აიწევდა და მიწასაც განკარგება-გაუმჯობესება არ დააკლდებოდა. აქედგან წარმოსდგა ჩვეულება, რომლის ძალითაც საიჯარო ფასის დადება ურთ-ერთთან შეთანხმებისა და საზოგადოების აზრის თანახმად შეიძლებოდა. მაგრამ ეს კიდევ სულ არაა.

ლენდლორდსა და იმის აგენტებს არასდეს არ შეუძლიანთ განდევნონ ფერმიდგან მოიჯარადრე, თუ იგი წესიერად ისტუმრებს იჯარას. ულსტერის ფერმერმა შეიმუშავა განსაკუთრებული „იჯარის უფლება“. ამ უფლების ძალით შეუძლიან შეინახოს ფერმა თავისს ოჯახისათვის, გადასცეს ან მიჰყიდოს გარეშეს საიჯარო ხელ-შეკრულება. მეტად საყურადღებო მოვლენაა ესა. რამდენადაც ვუწყი, მხოლოდ ჩრდილოეთ ჰოლანდიაშია მიღებული სისტემა მემკვიდრეობით იჯარისა. მიწის პატრონს არ შეუძლიან წაართვას მიწის ნაჭერი ოჯახს, რომელიც დადებულ სასყიდელს იხდის; იჯარადარს-კი უფლება აქვს, ვისაც ჰსურს, იმას მიჰყიდოს თავისი ფერმა, რასაკვირველია, მემამულის თანხმობით. იქაური გლეხობა უმდიდრესი გლეხობაა მთელ დედამიწის ზურგზედ. ფერმები და სხვა შენობანი ხშირად იქ მრავალ ათი-ათას მანეთად ჰფასობს.

ამგვარი რამ, მხოლოდ უსავალდებულო მემკვიდრეობად, შემოუშავდა ულსტერშიაც. ხშირად იჯარის უფლების გაყიდვის დროს ფერმერები კარგ მოგებას იღებენ, თვით გაყიდვაც უბაჟოდა და უხარჯოდა ხდება, საჭიროა მხოლოდ ახალ მოიჯარადრის გვარის შეტანა მემამულის სიაში. ასეთმა წესმა უზრუნველ ჰყო მდგომარეობა ულსტერელ ფერმერებისა, რომელნიც საოცარის ზიზღითა და მტრობით ჰკიცხავდნენ და ჰკიცხავენ კათოლიკეებს, ლენდლორდებისა და იმათ აგენტების სახრავად გამხდარ ირლანდიელებს. ძნელია მოკლე მიმოხილვაში მთლად იმ ზიზღისა და მტრობის გადმოცემა, რომლითაც გამსჭვალულნი არიან გადმოსახლებულ პროტესტანტთა ეს შთამომავალნი და ინგლისელ ლენდლორდების აგენტები ღარიბ ირლანდიელ გლეხობის მიმართ. ულსტერელ ორანჟისტს რომ ყური დაუგდოთ, ინგლისმა ყოველი საშუალება უნდა იხმაროს, რათა ირლანდია მიწასთან გაასწოროს და იმათ დაუმორჩილოს, ამ სულითა და ხორცით კონსერვატორებს, ტორიებს.

ასე იყო საქმე მე-70 და 80 წლებამდე. მაგრამ აი, მე-70 წლების მეორე ნახევარში გაღარიბებულმა, თითქმის მიწასთან გასწორებულმა ირლანდიელმა გლეხობამ სიკვდილ-სასიცოცხლო ბრძოლის დროშა აღმართა და საოცარის მხნეობით თავის დაცვას შეუდგა ინგლისელ ბატონთა უწყალო და შეუბრალებელ აგენტებისაგან. უფრო და უფრო გახშირდა საბრალო მკვლელობანი; საიდუმლო საზოგადოებამ, ეგრედ წოდებულმა „დაუმარცხებლებმა“ („invincibles“) განამტკიცა ხალხში თვით-ცნობიერება და გააგებინა ყველას ის, თუ ინგლისმა როგორ გაჰქელა, მიწასთან გაასწორა უფლებანი მთელის ერისა საზოგადოდ და მიწად-მომქმედთა კერძოდ. საერო საადგილ-მამულო ლიგამ, რომელიც აშკარად და ყველას თვალ წინ მოქმედებდა, კრიზისის გადაწყვეტა საკანონმდებლო წესით მოითხოვა; მოითხოვა, რომ სახელმწიფოს გამოესყიდნა მიწები მებატონეთაგან და უკიდურესად გაღარიბებულ ხალხისათვის დაერიგებინა. დიზრაელის სამინისტრომ, ულსტერის დახმარებით ზურგ-გამაგრებულმა და საადგილ-მამულო არისტოკრატიისათვის შეაჩვენა ყოველივე სომეხი ქართველ-ბერძნის სარწმუნოებას კიდევ აღიარებდა. აბრამ კათალიკოსის მემკვიდრეებმა მიჰყევეს ქართველ გრიგორიანთა შორის, განურჩევლად, სომხობის, როგორც სხვა ერის, აზრის ჩათესვას, თუმცა სომხობა ისე როგორც ფრანგობა საქართველოში სარწმუნოებრივ სიტყვას მოასწავებს და სხვა არაფერს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ სომხებში, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში სცხოვრებენ, ერთი მესამედი ძლივს თუ იქნება ისეთი, სომხის ნიშანწყალი კიდე ეტყობოდეს, დანარჩენი ორი მესამედი ზნით, ჩვეულებით, ენით და ტანისამოსით პირ წმინდად დაემსგავსა ნამდვილ ქართველებს, რომლებსაც ნათესაობითაც და ნათელ-მირონობითაც კი უკავშირდება აგრეთვე. აი, იმ ორ მესამედში მოჰყვა ის წმინდა სისხლის ქართველობაც, რომლის რიცხვი ზედ მიწევნით არ ვიცით, მაგრამ მათ არსებობას ცხად ჰყოფს მათივე ვინაობა. გველესიანი, წერეთელი, ჩხეიძე, ლომიძე, დუჩაიძე, მუჩაიძე, მენთეშაშვილი, დოლუაშვილი და მათი მსგავსი მრავალი ქართული გვარი, რომლის სომხობას თუ უთხრობს მხოლოდ დაბოლოვება. ძნელი ასახსნელი არ არის, თუ საიდგან გაჩნდა ქართველთ გრიგორიანობა. რჯულისა ჟ ეკლესიათა ერთობის დროს სომხებიცა და ქართველებიც ერთმანეთის ეკლესიაში განურჩევლად დადიოდნენ სალოცავად. განხეთქილების შემდეგ კი ახალის რჯულის, ჩვეულების თუ სხვა რამ გარემოების მიზეზით ნაწილი ქართველობისა სომხის ეკლესიასაც შერჩა და ზოგი კიდე უკანასკნელ არგულობათა ჟამსა შეეკედლა სომხის ეკლესიას, რომლის სამღვდელოება, კათოლიკე პატრების ქადაგების მიბაძვით, არც სხვათა მოქცევას აკლებდა ხელსა. მეცხრამეტე საუკუნის თითქმის მეორე ნახევრამდე მათ ეკლესიებში ქართული ლოცვანები ხმარებაში იყო და ვნების კვირაში ჯვარცმის სახარება იკითხებოდა და „ქრისტეს გამოტირილის„ საგალობელი ითქმოდა ორივე ქართულად. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავს მეტის-მეტი სიცხადისა გამო დამტკიცება არ უნდა: დღესაც მრავალი ჯერ კიდევ ცოცხალია და მათ შორის თქვენი უმრწემესძმაც გახლავს ამ ამბის მომსწრე, თვალით მნახველი და მოწმე. ქართული ქადაგება ხომ, თუ არ ჩავთვლით ტფილისის სომხობის ეკლესიებს, დღესაც ფეხმაგრობს საქართველოს გრიგორიანთა ეკლესიებში, მეტს ვიტყვი, წირვაც-კი არის სომეხთა ეკლესიისა ქართულად ნათარგმნი, რომელიც ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნთ-საცავშია. სომხის სამღვდელოებამ თავისი განსხვავებული რჯული განკერძოების საშუალებად დასახა განაკუთრებით მას აქეთ, რაც ეჩმიაძინის საპატრიარქო საყდარმა ამ ოციოდე წლის წინ ბრძანება გამოსცა, ჩვენის სამწყსოის შემავალი მღვდელი ამიერიდგან მოკლედ იკრეჭდეს თმასაო. იმ დღიდგან უფრო მარჯვედ შეუდგნენ ქართულის ენის გამოძევებას თავიანთ სკოლებიდგან ისე, როგორც იგი გამოაძევეს წინად ეკლესიიდგან.

კლდია

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ ბოლოს დროს ხშირადა ჩვიან ჩვენში, რომ მეცნიერება არამც თუ შემოსავალს ველარ იძლევა, ხშირად ხარჯსაც ველარ ისტუმრებსო. ამის მიზეზებად ასახელებენ: ვაზის მრავალს სენს, სეტყვას, ბაზრის უქონლობას, ჩარჩ-ვაჭრებისავან შეცვიწროებას და სხვას. ზოგმა სენმა, როგორც, მაგალითად, ფილოქსერამ, ქუთაისის გუბერნიაში ვენახები თითქმის სულ ერთიანად გაანადგურა. ნაცარი, ობი და სხვა სენი დიდად აფერხებს მოსავალს იმ ადგილებში, სადაც ფილოქსერას ჯერ კიდევ ფეხი არ მოუკიდნია. ამას ზედ დაურთეთ სიძვირე მასალისა, სეტყვა, სირაჯებისაგან მევენახეთა შევიწროება, და ადვილად მიჰხვდებით, თუ რამდენად გაჭირვებულ მდგომარეობაში უნდა იყვნენ ჩაცვივნულნი ჩვენი მევენახენი. სწორედ ამიტომ ამ ბოლოს დროს ბევრნი გაიძახიან, რომ უმჯობესია მევენახეობას თავი გაეანებოთ და სასოფლო-მეურნეობის სხვა რომელსამე უფრო შემოსავლიან დარგს მივჰყოთ ხელი, რადგანაც მევენახეობა დღეს ზარალის მეტს ალარაფერს იძლევაო. სახეიროა თუ არა დღეს ჩვენში მევენახეობა? ამის შესახებ წერილია დაბეჭდილი გაზ. „Кавказское Сельское Хозяйство“-ში, რომელიც გადაჭრით ამბობს, რომ მევენახეობა სახეირო და სასარგებლოაო.

„ვაზი უველგან არ ხარობს, სწერს გაზეთი, ხოლო მოთხოვნილება მევენახეობის ნაწარმოებთა—ყურძნისა, დვინისა, ჭაშმაშისა და სხვ., თანდათან მატულობს. ვაზი მხოლოდ თბილ ქვეყნებში ხარობს, იგი განსაკუთრებულ ნაიადაგსა და ჰავას მოითხოვს. ამიტომ დიდი დანაშაულობა იქმნება, კაცმა არ ისარგებლოს ამ თუ იმ ადგილის ასეთის უპირატესობებით, მით უმეტეს, რომ არც ერთი სხვა დარგი სასოფლო მეურნეობისა დღემდის ისეთ შემოსავალს არ იძლევა, როგორსაც ვენახი. რაც შეეხება სენსა და მწერებს, იმათ წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის შეიძლება“.

საჭიროაო,—განაგრძობს შემდეგ გაზეთი,—მეურნემ მომჭირნეობას არ უღალატოს და ვენახს კარგად მოუაროს. მრავალი ახალი სამუშაო მანქანა იქმნა გამოგონილი, რომელიც, მაგალითად, საბარი, რომელიც ერთი ხუთად და ათად აადვილებს მუშაობას და ამცირებს ხარჯს. იმათი შეძენება და ხმარება საჭიროა, რომ ვენახმა კარგი მოგება მისცეს პატრონსაო. შემდეგ, საჭიროა უზრუნველ-ყოფილ იქმნას ბაზარი მევენახეობის ნაწარმოებისათვის, გაიდევნოს შეძლებისამებრ ადგილობრივ ღვინის სასმელად ხმარება, ვინაიდან ამ ნაწარმოებისა ბევრი ნაწილი ხარაჩოდ ხმარდება ხოლმე ქარხნებში. ამ ნაწარმოებთა შორის ყველაზე ძვირფასია ჭაშმაშის ნაწარმოები, რომელიც ფრანგეთში ფასობს 1 ფრანკად ბოთლი, ანუ 80 კაპიკად ჩვენებურად. ამ ნაწარმოებისა ფრანგეთში წელიწადში 1 მილიონ ბოთლამდე იხარჯება, ხოლო ჩვენში ალარაფერად ითვლება. ამ ნაწარმოებისა ერთი ბოთლი ფასობს 1 მანეთად, ანუ 2 მანეთად, ანუ 3 მანეთად, ანუ 4 მანეთად, ანუ 5 მანეთად, ანუ 6 მანეთად, ანუ 7 მანეთად, ანუ 8 მანეთად, ანუ 9 მანეთად, ანუ 10 მანეთად, ანუ 11 მანეთად, ანუ 12 მანეთად, ანუ 13 მანეთად, ანუ

საქმეთა მინისტრი ამტკიცებს, რომ ბიულჯეტის განცხადებაში არავითარი მუქარა არა ყოფილა იტალიის დვინოების საზღვარ გარეთ გატანისათვის. დვინის საქმე სავაჭრო ხელშეკრულობათ არასფერს დაუშლისო. მინისტრს იმედი აქვს, რომ შუა ევროპის სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ხელ-შეკრულობანი განახლებულ იქმნებიან. ის საგარეო პოლიტიკა, რომელიც სავაჭრო ურთი-ერთობას არ უზრუნველყოფს, ხერხიან და მარჯვე პოლიტიკათ არ ჩაითვლება, რადგანაც ეს ურთი-ერთობა ერთანულს კეთილ-მდგომარეობას ხელს უწყობს (ძალერი მოწონება).

პარიჟი. პალატა. მარგარეტში მომხდარ უწესობების თაობაზე კამათის დროს დრიუმონმა ალჟირის მოხელეები გაჰკიცხა, პრეფექტს დიუტანს „უსინდისო კაცის სახელი უწოდა და განაცხადა, რომ მთავრობის წევრებში ბევრი ცუდი სახელის კაცი ურევიაო, პალატამ გარდასწყვიტა, დრიუმონი დროებით პალატიდგან გამორიცხულ იქმნეს. პრეზიდენტმა სხდომა დახურა. სამხედრო კაცნი რომ შემოვიდნენ, დრიუმონი პალატიდგან გავიდა; გასვლის დროს ეიერიდა: გაუმარჯოს ჯარსა! შორს ჩვენგან ურიებიო! როცა სხდომა ხელ-მეორედ გაიხსნა, ვალდეკ-რუსომ პალატას მთავრობის პოლიტიკა განუმარტა. მინისტრ-პრეზიდენტმა შეჰნიშნა, რომ ალჟირში მომხდარი უწესობა და გაზეთების თავხედური კილო მკვიდრთ საფრანგეთის სახელისადმი პატივის ცემასა და შიშს უსპობენო. „მთავრობა, —ამბობს მინისტრი,—წინადადებას შეიტანს, რომ ქალაქის პოლიციაა ალჟირის პრეფექტს ემორჩილებოდესო“. კამათი დასრულდა. კამათის დროს თავმჯდომარემ რამდენიმე დეპუტატი გააჩუმა. პალატამ მარტენის მიერ წარდგენილი წინადადების პირველი ნაწილი მიიღო; ეს წინადადება შემდეგია: „პალატა ჰგმობს ფანატიზმსა და მოდგმათა შორის განჯეთქილებას“. ამის შემდეგ პალატამ ამ წინადადების მეორე ნაწილიც მიიღო: „პალატა იწონებს მთავრობის განცხადებას და იმედი აქვს, რომ მთავრობა მხნედ ეცდება, რათა ალჟირში მშვიდობიანობა ადგილობრივ და ფრანგ მკვიდრ მშრომელ მოსახლეობისათვის საჭირო და სასარგებლო“. შემდეგ პალატამ მთელი წინადადება მიიღო.

მოსკოვი. ბირჟის დისკონტმა 6-1/2-დგან 7 1/2% აიწია, ხოლო 5 1/4—6%.

კონსტანტინეპოლი. ინგლისის მეფემ რჩევა მისცა სულთანს, რომ ოსმალეთის შინაგან მმართველობაში ზოგიერთი ცვლილება მოახდინოს.

ლონდონი. შანხაიდგან იუწყებიან, რომ გერმანიის გემები იასძყს მდინარით ვიდრე ისყანამდე სადარაჯოდ დაიარებიან, სადაც გემი „იდტიზი“ მთელს ზაფხულს დარჩებაო. ფრანგებსა და გერმანელებს განზრახვა აქვთ გემები ხუანის ახალ სატახტო ქალაქ ჩანშამდე გაგზავნონ, სადაც უცხოეთის გემები, ისიც მარტო ინგლისისა, მხოლოდ კრთხელ უოფილან.

„ტაიმს“-ს ატუობინებენ შანხაიდგან, რომ იქაური გერმანელი მეცხოვნე რაზმი ორის ბატალიონისაგან შესდგება და ხომალდოვნიკი გრაფი შლიხენისა უფროსობის ქვეშ იქნებაო.

გაება. ქ-ნი ბოტა კრიუგერს ორი საათი ესაუბრა და შემდეგ ბრიუსელში წავიდა.

გერლინი. ბერლინის ბირჟის საფონდო განუოფილების დადგენილებისა გამო, „ნატიონალ ცაიტუნგ“-ი შეჰნიშნავს, რომ საფონდო განუოფილებას ფიქრადაც არა ჰქონია სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების ობლიგაციების პატრონთა წინადადება რუსეთის წინაშე. რადგანაც რუსეთი საფინანსო მოვალეობას უოველთვის ასრულებდა. საფონდო განუოფილების დადგენილება ბუნდად იუო დაწერილი: განუოფილებამ წინადადება არც უარ-ჰყო და არც არსებითად განიხილა. ეს განხილვა გადაიდო ამ დრომდე, ვიდრე რუსეთის ახალის სესხის თაობაზე დაპირება არ ჩამოვარდება.

რომი. კარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებსა და რუსეთთან მოლაპარაკებას გავმართავ სავაჭრო ხელ-შეკრულობათა შესახებაო.

კეტერბურგი. 1 თებერვალს. ბირჟა. ტფილისის სააღგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლები 92 3/4 გაუიდ., ამავე ბანკის 4% გირავნობის ფურცლები და ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკის 6% და 5% გირავნობის ფურცლები ბირჟაზე არა უოფილა; ს. ი. მანთაშევის და ამხ. ნავთის სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოების აქციები 240 გაუიდ.

3 ივნისი

სტოკჰოლმი. მოგზაურმა სვენ გედინმა გამოუგზავნა მეფე ოსკარს ღია წერილი, აღნიშნული 14 მარტის თარიღით, რომლითაც აუწყებს, რომ გობის უდაბნოში მოგზაურობიდგან მშვიდობიანად დავბრუნდი ტიარკლინში, სადაც ოც დღეს დავყოფ და შემდეგ ტიბეთში გავემგზავრებიო.

ბარცელონა. ქუჩაში გაზის აფეთქებამ ზოგიერთ ადგილას ქვაფენილი წაახდინა. ცეცხლის ალი სახლების მესამე სართულს სწვდებოდა. დაშავდა 14 კაცი, ამათგან რამდენიმე მძიმედ დაშავებულია.

რომი. პალატამ დაამტკიცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა.

პრაგა. ნაშუადღევს იმპერატორმა დაათვალიერა ხელოვნებისა და მრეწველობის მუზეუმის ახალი შენობა. საეჭრო პალატის თავჯდომარე გერმანულ და ჩეხურ ენებზე მიესალმა. თავმჯდომარემ, სხვათა შორის, აღნიშნა, შესანიშნავი წარმატება ვაჭრობისა და მრეწველობისა ფრანც იოსების მეფობის დროს. იმპერატორმა ჩეხურად უპასუხა და გამოსთქვა სურვილი, რომ მუზეუმში შეგროვილმა ნიმუშებმა ხელი შეუწყონ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას. შემდეგ იმპერატორმა დაუმატა გერმანულად, რომ მე და ჩემი მთავრობა ყოველთვის ვცდილობდით გამოგვეძებნა ისეთი პირობები, რომელთა მეოხებით ერს მუშაობა გაადვილებოდა. შემდეგ იმპერატორმა დაათვალიერა სხვა შენობანი, სხვათა შორის, ნემეცთა და ჩეხელთა უნივერსიტეტებიც. დიდ-ძალი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა იმპერატორს. დღეს სასახლეში უკანასკნელს სადილს დაესწრნენ უმაღლესის არისტოკრატიის წევრები, სამხედრო მოხელენი, გერმანელთა და ჩეხთა სეიმის დეპუტატები, სამღვდელოება, მრეწველობისა, ვაჭრობისა და მეცნიერების წარმომადგენელნი და აგრეთვე ებრაელთა საზოგადოების დეპუტატები.

პარიჟი. სენატი. ასოციაციათა შესახებ კამათის გაგრძელება. პირველი მუხლი მიღებულ იქმნა. მეორე მუხლის განხილვის დროს რამბომ წაკადადება შეიტანა, რომ ყოველივე საზოგადოება, რომლის წევრებადაც უცხოელნი არიან, ან-და თვითონ საზოგადოება და მისი გამგეობა იმყოფებიან საზღვარ-გარეთ, ადრევე, სადაც ჯერ არს, მოახსენებულნი იყვნენ. რამბომ აღნიშნა ის გარემოება, რომ სოციალისტთა კრებაზე მრავალნი უცხოელნი თხოულობდნენ საფრანგეთს იარაღი აეყარნა მაშინ, როდესაც ინგლისისა და გერმანიისაგან ეს არასოდეს არ მოუთხოვნიათ. ორატორი იმ აზრისაა, რომ რამდენისამე მილიონ უცხოელების საფრანგეთში ყოფნა, რომლებზედაც თვალ-ყურის ჭერა შეუძლებელია, ქვეყნისათვის დიდად საშიშია. უცხოელებმა დაიჭირეს ყველა პროფესია ვაჭრობასა, მრეწველობასა, ფინანსებსა და ბეჭდვითი საქმეში. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა ამის შესახებ, რომ შეუძლებელია საფრანგეთში უცხოელები განსაკუთრებულს წესებს დავუმორჩილოთო. ყოველ შემთხვევაში შეიძლება ყველა საზოგადოება იქმნეს დათხოვნილი დეკრეტით და არც ერთი მათგანი მთავრობის თვალ-ყურის დევნებას მოკლებული არ არის. გარდა ამისა, მეთორმეტე მუხლის ძალით მთავრობას ყოველგვარი შიში თავიდგან აცილებული აქვს. უცხოელთა მიმართ მტრობა დაძველებული გრძნობაა. მუშების გაცვლა თაეისუფლად შეიძლება და შეზღუდული არ არის. რამბოს წინადადება უარყოფილ იქმნა. პალატამ მეორე მუხლი შეიწყნარა.

4 ივნისი

ბრიუსელი. „ind. Belge“ ფორმალურად ამტკიცებს წინანდელ თავისს ამბავს იმის შესახებ, რომ კიტჩენერმა ნება მისცა ტელეგრაფით ერთმანეთთან მიწერ-მოწერისა კრიუგერსა და ტრანსვაალის მთავრობას და იუწუება ამ მიწერ-მოწერის შინაარს. ბურთა წინამძღოლნი სტანდერტონში, უხსნიან რა კრიუგერს სიქმის ვითარებას, ამბობენ, რომ ბურთა მთავრობის გავლენიან წევრთა შორის ორ გვარი აზრიაო: ერთნი მშვიდობიანობას თხოულობენ, მეორენი კიდევ—ომს ბოლომდეო. იმპრეტენზიანი ისინი, ვინც მშვიდობიანობას თხოულობენ; მათ სიტყვით მიაჩნიათ ინგლისელთა დამარცხება და საჭიროდ სთვლიან ეცდნენ სისხლის დვრა შეაჩერონ და სავატიო პირობებით ზავის ჩამოგდება დაჰქარონო. კრიუგერმა მოლაპარაკება მოახდინა ამის თაობაზედ ჰოლანდიაში მეოთე ბურთა წინამძღოლებთან და შემდეგ დეპეშით ატნობა სტანდერტონში. პასუხი გუშინ ჯერ კიდევ არ მოსულიუო. კაზეთი ჰბეჭდავს შემდეგ ხმას, ვითომ კრიუგერი გამოაქვეყნებს განცხადებას, რომელშიაც ზავის დადებისათვის პასუხის გებისაგან გაინთავისუფლებს თავსაო.

კეტერბურგი. გარდაიცვალა ცნობილი მწერალი სერგეი მაქსიმოვი.

კონსტანტინეპოლი. სულთანის მიწვევით რუსეთის ელჩი იღლიზ-კიოსკში სადილზედ იუო; შემდეგ ელჩი სულთნმა აუდენციაზედ მიიღო. აუდენციის დროს, რომელმაც 3/4 საათი გასტანა, ბ-ნმა ზინოვიევმა იდაპარაკა მაკედონიის საქმის ვითარებათა შესახებ და გაიმეორა თავისი რჩევანი იმის შესახებ, რომ უდანაუკლოანი საზრვარზედ შეკეთრდებულ არ იქმნენ, და რომ მთავრობა წინ დახვედებულად შეუდგეს საქმეს. სიტრუეთ მიაჩნიათ ის ხმა, ვითომ ელჩს თან მოეტანოს რეფორმათა პროექტი მაკედონიაში. რუსეთი, როგორც ამბობენ, იმასა სტდილობს, რომ უსამართლობა აცილებულ იქმნას მაკედონელ ბოლგართა დევნის დროსაო. დარჩენილ სამხედრო ჯილდოს—193,000 ოსმალურ გირვანქას—გამასტრმრებლად, რომლის ვადაც სვლა დგება, უკვე მოემზადებელია 30,000 გირვანქა.

ლონდონი. კიტჩინერი იუწყება პრეტორიიდგან: „ელდიოტის ჯარს 24 მაისს რეიტენის მახლობლად ბრძოლა ჰქონდა მტერთან, რომელსაც დევეტი უფროსობდა. ცხარე ბრძოლის შემდეგ, წაგართვით მტერს 71 ურემი, ბარგით დატვირთული, 10,000 თოფის ტუვია და 400 ცალი საქონელი. 45 ბური ტუვეთ ჩაგვიგდეთ, 17 მოკლულ იქმნა და სამიც დაიჭირა. ჩვენ მოგვკლეს 20 კაცი, მათ შორის 3 ოფიცერია, და დაგვიჭრეს 24 კაცი. ელდიოტის ჯარი გრონსტადტამდე მოვიდა“.

უცხოეთი

ჩინეთი. პეკინიდგან ატუობინებენ „Frankf. Zeit.“-ს, რომ ელჩებს უკვე მოლაპარაკება ჰქონიათ ლი-ხუნ-ჩანგთანა, თუ როდის და რა პირობებით იქმნება სამხედრო სახლური გარდახდილი; აგრეთვე იმის შესახებ, თუ მთავრობა რა ბრძანებას გამოსცემს ამის გამო. მოლაპარაკება, მართალია, ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ-კი ვერა გარდასწუეტეს-რაო. გარდა ამისა, ელჩებს უცნობებიათ ჩინეთის რწმუნებულებისათვის, რომ ნებას არა ჰრთავენ ბროკლმანიებს ჯარვენ. თვითონ იოჰანნესბურგის მახლობელს მიდამოებში ინგლისელების ჯარებს მუდამ შეტაკება აქვთ. საზოგადოდ, ინგლისის მუდმივს ჯარსა თუ ახალშენებიდგან გამოგზავნილს, სასტიკი დისციპლინა არა აქვთ შემუშავებული და ბურებიც ამ მათის ნაკლით მუდამ სარგებლობენ, ხშირად ძლიერ თავდაჯერებულნი იქცევიან, საჭორელს ესვევიან, სურსათსა და სამზადისს სტატებენ და სხ.

— სოუტგამპტონიდგან ატუობინებენ „Temps“-ს: „ქ-ნი ბოტა 28 მაისს მოვიდა გემით „Dunvegan Castle“-ით. ქ-ნს ბოტას თან ახლავან ერთი თავისი შვილი და ბ-ნი ფიშერი, ორანჟეს რესპუბლიკის სახელმწიფო მდივნათ ნამყოფის ფიშერის შვილი. ქ-ნი ბოტა თავს ტოტა უქეიფოდ ჰგრძნობს და ჟურნალისტებთან დაპირავებაზედ უარს ამბობს, თუმცა არა ჰმალავს და ამბობს, რომ აზრათ მშვიდობიანი მორიგება აქვს. ბ-ნი ფიშერიც უფრო უარს ეუბნება—ვერავის რას გეტუვითო. ერთის ინგლისელ ჟურნალისტისათვის ფიშერს ია, რა უთქვამს: „სულ ერთია, რაც უნდა გითხრათ, თქვენი გაზეთები მაინც შეგუდმა გაატხობენ ამას ქვეყანასაო. მეკითხებით—მართალია, თუ არა ის, რომ ქ-ნს ბოტას მშვიდობიანად მორიგება აქვს მინდობილიო? მაგრამ ახლა მე გკითხავთ—შესაძლებლად სცნობთ, რომ მშვიდობიანად მორიგების საქმე კიტჩენერს დედა-კაცისათვის მოეხდა თუ არაო“.

ფიშერი ინგლისელებს პატიოსანი სიტყვის შემდეგ გამოუშვიათ, რომ ქ-ნს ბოტასთან ერთად ევროპაში წასულიუო და თავისი მამა ენახა, რომელიც ამ ჟამად ბრიუსელში იმუოფებაო.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

სასაცილო ამბავი მომხდარა ამას წინად პარიჟში. ორ მაწანწალას შუადღისას სამანუფაქტურო მაღაზიიდგან პერანგი მოუტაცნიათ; დაუვლიათ ხელი ამ პერანგისთვის და გაქცეულან. მაშინვე ყვირილი დაუწყვიათ: „დაიჭით, ქურდებიო!“ ამ დროს ერთი პოლიციელი იქვე საპარიკმახეროში წვერს იპარსავდა თურმე. პოლიციელი ფორმაში არა ყოფილა გამოწყობილი. გულმოდგინე პოლიციელი, ცალ წვერ მოპარსული, გამოვარდნილა გარედ და ერთ მაწანწალას დასდევნებია. მალე დასწევია კიდეც და ხელი უტაცნია, მაგრამ ქურდი არ შეშინებულა: დაუნახავს რა ნახევრად წვერ მოპარსული კაცი, დაუწყვია ყვირილი, არიქათ, მიშველეთ, გიჟი მოკვლას მიპირებსო. ხელად შეკრებილ ხალხსაც უტაცნია ხელი პოლიციელისათვის და იქვე ხელები შეუკრავთ მისთვის. შემდეგ ქურდის ნაცვლად პოლიციის ნაწილში პოლიციელი მიუყვანიათ.

გაანცხადებები

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 5 ივნისს გამგეობისავე თანადასწრებით ნაშუადღევის პირველ საათზედ მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა წყლის სადენი ბეტონის მილის გამართვის საქმე ბაგრატიონის ქუჩიდგან ფომინისა და მესხიევის ქუჩებზედ აკოფოვის სახლამდე. სამუშაო სულ 1500 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ალმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(2 —ნ.— 2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Юня 1901 г.

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, დარის-მეიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე